№ 11792/01-8 "22" 12 2022

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

წარმოგიდგენთ სს „სილქნეტის" შენიშვნებს "მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილებაში (შემდეგ "**MVNO გადაწყვეტილება**") ცვლილების შეტანის თაობაზე კომისიის მიერ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილების პროექტზე, რომლის თანახმადაც კომისია არ აუქმებს/ძალადაკარგულად არ აცხადებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, არამედ გეგმავს გადაწყვეტილების ამოქმედების ვადა გადაწიოს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

სს "სილქნეტი" მიიჩნევს, რომ კომისიის მიერ მიღებული "**MVNO გადაწყვეტილება**" უნდა გაუქმდეს/გამოცხადდეს ძალადაკარგულად რადგან:

- "**MVNO გადაწყვეტილება**" **წინააღმდეგობაში მოდის საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან,** მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის, კვლევა-ანალიზის ჩატარების, ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების დადგენის და მათზე სპეციფიკური ვალდებულების დაკისრების ნორმებთან; "MVNO გადაწყვეტილებით" დარღვეულია კანონიერების პრინციპი, ვინაიდან კვლევა-ანალიზის ყველა ეტაპი „ჩატარებულია" კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ნორმების დარღვევით და სრულად დაუსაბუთებელია; მათ შორის, სამი ოპერატორის ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის დასადგენად შეცდომით გამოყენებულია ერთპიროვნული (ერთი პირის) საბაზრო ძალაუფლების შეფასებისთვის განკუთვნილი კრიტერიუმები, რომლითაც უბრალოდ, თეორიულადაც კი შეუძლებელია დასაბუთდეს ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების ფლობა.

- "**MVNO გადაწყვეტილება**" **წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირში** ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში **მოქმედ კანონმდებლობასთან/ნორმებთან** და საქართველოს მიერ **„ასოცირების ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებებთან,** ისევე, როგორც **წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციისა და საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან**;

ზემოაღნიშნულის დასტურად კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ ამონარიდს ცნობილი საერთაშორისო იურიდიული ფირმა DLA PIPER-ის ლონდონის ოფისის მიერ მომზადებული მემორანდუმიდან, სადაც მოცემულია შეფასებები თუ რამდენად შეესაბამება კომისიის მიერ მიღებული მობილური გადაწყვეტილებები, მათ შორის **"MVNO გადაწყვეტილება"** ევროკავშირის კანონმდებლობას და „ასოცირების ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ საქართველოს ვალდებულებებს. (სს სილქნეტმა მემორანდუმის ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი ჯერ კიდევ 2021 წლის იანვარში წარუდგინა კომისიას)

შ-22-6/4686
22.12.22
3-1ფ

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001
სს „სილქნეტი" ს/კ 204566978 www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: ( +995 32) 2 100000; Fax: ( +995 32) 2 100001
JSC „Silknet", I/C 204566978 www.silknet.com

DLA PIPER -მიერ მომზადებულ მემორანდუმში მოცემულია შემდეგი:

1. **შეჯამება (მემორანდუმის გვ.1)**

*ჩვენი აზრით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ საქართველოში მობილური ბაზრის რეგულირების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები [...მოიცავს „ვირტუალური მობილური ოპერატორების (MVNO) დაშვების გადაწყვეტილებას", „2019 წლის საცალო მობილურ გადაწყვეტილებებს" და „2020 წლის საცალო მობილური გადაწყვეტილებას"]:*
*ცალსახად და აშკარად არ შეესაბამება ევროპულ რეგულაციებს. მოცემული გადაწყვეტილებების მრავალ პრობლემას შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ "მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების" (SMP) კონცეფციის აბსოლუტურად არასწორად გაგება და კერძოდ, "ერთობლივი" SMP-ს შეფასება ისეთ მობილურ ბაზარზე, სადაც სამი კონკურენტი ოპერატორი საქმიანობს.*

***საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისის გადაწყვეტილებები ევროკომისიის მხრიდან რევიზიას რომ ექვემდებარებოდეს, ისინი აუცილებლად დაიბლოკებოდა. ეს გადაწყვეტილებები არ შეესაბამება საქართველოს მიერ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს[.....]***

7. **დასკვნა (მემორანდუმის გვ.11)**

*ამ მემორანდუმში განმარტებული მიზეზების გამო, ჩვენ მივიჩნევთ, რომ არც ერთი განხილული გადაწყვეტილება - კერძოდ, „ვირტუალური მობილური ოპერატორების (MVNO) დაშვების გადაწყვეტილება", „2019 წლის საცალო მობილური გადაწყვეტილებები" და „2020 წლის საცალო მობილური გადაწყვეტილება", უამრავი ფუნდამენტური მიზეზის გამო, არ ჯდება ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმების ჩარჩოებში.*

***ჩვენ დარწმუნებით ვაცხადებთ, საქართველო რომ ევროკომისიის იურისდიქციას ექვემდებარებოდეს, ყველა ამ გადაწყვეტილებას ვეტო დაედებოდა. ეს გადაწყვეტილებები წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციისა და საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლებსაც ევროპული ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმები ეყრდნობა.***

როგორც თქვენთვის ცნობილია სს „სილქნეტმა" კომისიას არა ერთი წერილით გააცნო თავისი პოზიცია და წარუდგინა არა ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო კომპანიის (DLA PIPER, Analysis Mason, Dentons) დასკვნა კომისიის მიერ მიღებული **"MVNO გადაწყვეტილების"** საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის თაობაზე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის, ოპერატორების და ავტორიტეტული საერთაშორისო კომპანიის ექსპერტების მონაწილეობით შეხვედრების ჩატარებისა და ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდგომ, კომისიამ არა ერთ საჯარო გამოსვლაში, ისევე როგორც სს „სილქნეტთან" არა ერთ ოფიციალურ კორესპონდენციაში ნათლად განაცხადა, რომ დაიწყებდა ადმინისტარციულ წარმოებას "**MVNO გადაწყვეტილების**" ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მობილური ოპერატორის მიერ განხორციელდებოდა მსურველი პირის (MVNO) მობილურ ქსელზე დაშვებასთან დაკავშირებით გონივრული მოთხოვნის დაკმაყოფილება;
შემდგომ კომისიამ შეცვალა პოზიცია და ასევე ოფიციალურ კორესპონდენციაში განაცხადა, რომ დაიწყებდა ადმინისტარციულ წარმოებას "**MVNO გადაწყვეტილების**" ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნებოდა „MVNO-ს დაშვებისა და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების პრეცენდენტი";

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2021 წლის 3 დეკემბერს, სს „სილქნეტსა“ და შპს „ეკლეკტიკს“ შორის გაფორმდა მობილურ ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო 2022 წლის აგვისტოდან შპს „ეკლეკტიკმა“ დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა ბრენდული სახელწოდებით „Hallo” და უკვე 4 თვეზე მეტია უზრუნველყოფს თავისი ბოლო მომხმარებლებისათვის ვირტუალური მობილური მომსახურების მიწოდებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე (კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ (i) კომისიის მიერ მიღებული “**MVNO გადაწყვეტილება**“ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ასევე „ასოცირების ხელშეკრულებით“ საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან, (ii) კომისიამ არა ერთხელ გასცა ადმინისტრაციული დაპირება, რომ ძალადაკარგულად გამოაცხადებდა “**MVNO გადაწყვეტილებას**“, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ოპერატორი უზრუნველყოფდა MVNO ოპერატორის მობილურ ქსელზე დაშვებას, რა პირობაც შესრულდა) მივიჩნევთ, რომ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კომისიამ ძალადაკარგულად უნდა ცნოს 2019 წლის 31 დეკემბერის Nგ-20-9/156 გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი

---